პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში

განხორციელების ვადა: 07.11.2019 - 28.02.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 500 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 665 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
United Nations Development Programme (UNDP)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის ვებსაიტები: ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/PARLIAMENT.html

პროექტის აღწერა:

ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა პარლამენტის როლი, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რომელიც უფრო მეტად ანგარიშვალდებული გახდა საკანონმდებლო შტოს წინაშე. ახალი პოტენციალის სარეალიზაციოდ საჭიროა პარლამენტმა არსებითად გააძლიეროს მისი ინსტიტუციური ფუნქციონირება და შესაძლებლობები, რათა ეფექტურად მოახდინოს ახალი მექანიზმების პრაქტიკაში ამოქმედება.
UNDP-ის მიერ ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული წინამორბედი საპარლამენტო პროექტის კვალდაკვალ, ახალი ინიციატივა ფოკუსირებულია ქვეყანაში საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის კონსოლიდაციაზე, ევროკავშირისა და UNDP-ის პროექტის დახმარებით შემუშავებული ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. ახალი პროექტი მხარს უჭერს პარლამენტში სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეფორმებს, რომლებიც მდგრად ინსტიტუციურ განვითარებაზეა ორიენტირებული. შედარებით მცირე კომპონენტი მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერას სტრატეგიული განვითარების მიმართულებით. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში პროექტი გამოიყენებს საქართველოს პარლამენტისთვის გაწეული მხარდაჭერის მექანიზმებს და პრაქტიკებს, რომელთა გაზიარება ორ ინსტიტუციას შორის მოხდება.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებული საპარლამენტო საქმიანობა ახალი კონსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს კონტექსტში
- მთავრობის გაუმჯობესებული ანგარიშვალდებულება და მოქალაქეების გაუმჯობესებული წვდომა პარლამენტის საქმიანობაზე
- აჭარის უმაღლესი საბჭოს გაუმჯობესებული ინსტიტუციური საქმიანობა და ღია მმართველობის პრინციპების გატარება.